MES 4 22 0001568744

08/12/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სკოლა XXI საუკუნე
ნატო რევიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი
მანანა გაბათაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს ოქროს აკვანი
მაია მიქაძე - სკოლის დირექტორი
ხათუნა გოგიჩაიშვილი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ფრანგული სკოლა
ლუიზა თუთარაშვილი - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი
გოჩა ჟღენტი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს სკოლა XXI საუკუნე
ნოდარ ანგურიძე
ლია გრიგოლია

შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი
ლელა ჯაში
მარინე ჯანაშვილი

შპს ოქროს აკვანი
მარინე ჯანაშვილი

შპს ფრანგული სკოლა
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ტუკვაძე

ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ტუკვაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ოქროს აკვანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19, 20 და 21 ოქტომბერს. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რომელიც გულისხმობდა თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებულ სწავლებას. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად სკოლას დაფიქსირებული ჰქონდა 180. თუმცა,საკლასო ოთახების რაოდენობიდან და ტევადობიდან გამომდინარე, სკოლის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, მოსწავლეთა ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც შესაძლებელი იყო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია სკოლას იყო 150 მოსწავლე.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა იზიარებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის მისიაც სწორედ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას ემსახურებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი სრულ თანხვედრაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილ რეგულაციებთან. სასკოლოსასწავლო გეგმა განსაზღვრავდა ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო და წლიური გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში შემუშავებული იყო დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“, რომლის საფუძველზე სკოლაში მუდმივად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასკოლო სასწავლო გეგმის და სწავლების ხარისხის შეფასება.

ექსპერტმა განმარტა, რომ შპს სკოლა XXI საუკუნე, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ქ. ქუთაისში წერეთლის ქუჩა N96 და ფლობდა 591,84 კვ.მ. ფართს. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო თარიღად განსაზღვრული იყო 12/06/2028 წ. ფართი შეადგენდა აღნიშნულ მისამართზე მდებარე ორსართულიანი შენობის მეორე სართულს მთლიანად და პირველი სართულის ნაწილს. ექსპერტის განმარტებით, სკოლა სარგებლობდა სკოლის ეზოში არსებული ფართით, ერთ მათგანზე სკოლას მოწყობილი ჰქონდა ხელოვნურსაფარიანი ფრენბურთის მოედანი, ხოლო მეორე მათგანზე - სველი წერტილები და მეორე სართულიდან ჩამოსასვლელი საევაკუაციო კიბე. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით არ ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებული. ვიზიტის პერიოდში სკოლამ დამატებით წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება, სკოლის მიერ შენობის ეზოს იჯარით აღების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, რომლებიც გაფორმებული იყო სააქციო საზოგადოება „ტრესტი ქუთმშენთან“ 2022 წლის 28 სექტემბერს, სკოლამ იჯარით აიღო სკოლის მიმდებარე ტერიტორია. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულის საჯარო რეესტრის ამონაწერში ასახვის პროცედურა ვიზიტის პერიოდისთვის დასრულებული არ იყო.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილი იყო დიდი ზომის ოთახი სპორტული დარბაზის დანიშნულებით, სადაც იდგა მაგიდა ჩოგბურთისთვის.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, თუმცა არ ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტთა

რეკომენდაციის საფუძველზე აღნიშნული წესის შეთანხმების შესახებ წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.
ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა მცირე უზუსტობები სასკოლო დოკუმენტაციაში, რომლის შესახებაც ვიზიტის პერიოდშივე ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია და დაწესებულების მიერ მოხდა აღნიშნული უზუსტობების აღმოფხვრა.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში ზოგიერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობები. ექსპერტმა განმარტა, რომ მათი ვიზიტის დროს პერსონალმა შეძლო აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ, რომლის საჯარო რეესტრში ასახვის პროცედურაც ვიზიტის დროს არ იყო დასრულებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარკვეული მიზეზების გამო, აღნიშნული იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში ასახვის პროცედურა ვერ მოესწრო. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში წარმოადგენდნენ აღნიშნულს. ხოლო იმ დრომდე კი სკოლამ უზრუნველყო აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულების სანოტარო აქტით დამოწმება.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობების შესახებ, რომელიც სკოლას არ ჰქონდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. ასევე, დაინტერესდა, თუ რა იყო გამომწვევი მიზეზი იმ უზუსტობებისა, რომელიც დაშვებული იყო სასკოლო დოკუმენტაციაში. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობა სკოლის ყველა თანამშრომელს ჰქონდა აღებული და გადმოგზავნილი იყო ცენტრში. ხოლო რაც შეეხებოდა სასკოლო დოკუმენტაციაში აღმოჩენილ უზუსტობებს, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა მუშაობს აღნიშნულზე და ასევე, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა იურისტის ვაკანსია.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, რომელშიც ფიქსირდებოდა საათობრივი ბადის ცვლილება და იყო თუ არა აღნიშნული შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლის წარმომადგენებლმა განმარტა, რომ მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო ცვლილებები და წარმოადგენდა ეროვნულ სასწავლო გეგმის პირველ მოდელს და შესაბამისად არ საჭიროებდა შეთანხმებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ხოლო, წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა არ ყოფილა კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ვინაიდან სკოლას აღნიშნული გამორჩენილი ჰქონდა მხედველობიდან.
საბჭოს წევრი, ია გიგიბერია დაინტერესდა ლაბორატორიის სათანადოდ აღჭურვასთან დაკავშირებით. ვინაიდან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ექსპერტთა მიერ გაცემული იყო რჩევა სკოლას დაემონტაჟებინა გამწოვი კარადა, მიუხედავად იმისა, რომ ღია ფანჯარა გარკვეული ხარისხით უზრუნველყოფდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის განიავებას. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთ რჩევა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიაში დამონტაჟდა გამწოვი კარადა და აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა წარმოდგენილი იყო ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა XXI საუკუნეს (ს/კ: 212705438) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია. კერძოდ, ცვლილების ასახვისთანავე ცენტრში წარმოედგინა შენობის იჯარის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ასევე, მიღებისთანავე ცენტრში წარმოედგინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, წესრიგის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული წესი. გარდა ამისა, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია გონივრულ ვადაში ცენტრში გამოეგზავნა მასწავლებელთა ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები.

საბჭოს სხდომას, 15:30 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა.

2. შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ,

რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 27 და 28 ოქტომბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი შემადგენელი ყველა კომპონენტი შეესაბამებობდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ლელა ჯაშმა ისაუბრა, საათობრივ ბადესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასკოლო საათობრივ ბადეში სტანდარტული ბადისგან განსხვავებული, გარკვეული ცვლილებები ფიქსირდებოდა. კერძოდ, გაზრდილი იყო საათობრივი დატვირთვა უცხოურ ენებში - პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა) ისწავლებოდა I კლასის I სემესტრიდან დაწყებით საფეხურზე, კვირეული საათობრივი დატვირთვით - 4 საათი. მესამე კლასიდან, მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა რუსულ ენას (მე-III-XII კლასებში 2 საათი კვირეული დატვირთვით). მე-V კლასიდან მოსწავლეები ეუფლებოდნენ გერმანულ ენასაც (მე-V-X კლასებში, 2 საათი კვირეული დატვირთვით). ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ ჭადრაკი პირველ კლასში სავალდებულო საგნად იყო განსაზღვრული, ხოლო მე-II-V კლასებში, ფაკულტატური საგნის სტატუსი ჰქონდა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა 2022-2023 სასწავლო წლის საათობრივი ბადე.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 7 საგნობრივი კათედრა. ექსპერტის თქმით, კათედრები საკუთარ საქმიანობას ეფექტურად ახორციელებდნენ. ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულება სავალდებულო საგნებთან ერთად, მოსწავლეებს ასევე, სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს. მისი თქმით, სკოლაში არსებული მოსწავლეების შეფასების სისტემა იდენტური იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების სისტემასთან. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლის შენობა იყო 4 სართულიანი და ის დაწესებულებას საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა გადაცემული. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდებოდა შენობის მე-2 და მე-3 სართულზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, ასევე, კომპიუტერული ლაბორატორია, მუსიკის, ფსიქოლოგისა და სამეციდინო კაბინეტები, სპორტული მოედნები, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის განკუთვნილი მოსასვენებელი ოთახი და ა.შ. ექსპერტის, თქმით, დაწესებულებას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, სკოლის შენობას ეზოს მხრიდან ჰქონდა დამონტაჟებული პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებული იყო ადაპტირებული სველი წერტილი. გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, შიდა გადაადგილების უზრუნველსაყოფად სკოლას დასამონტაჟებელი ჰქონდა პანდუსები, რომლებიც ვიზიტის პერიოდში დასაწყობებული იყო სარდაფში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლაში დაცული იყო პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. დაწესებულებას, ასევე, ჰქონდა წარმოდგენილი დაწესებულების წესდება, შინაგანაწესი, სტრატეგიული და სამოქმედეო გეგმები,

საქმისწარმოების წესი და ა.შ. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების წესი შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლის ეზოში მდებარეობდა ამფითეატრი, რომლის მოწყობის სამუშაოები ვიზიტის პერიოდში ბოლომდე არ იყო დასრულებული. მისი თქმით, სკოლის დირექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდებოდა, რომ იგეგმებოდა ამფითეატრის გამოყენება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ბიბლიოთეკა შენობის მე-3 სართულზე იყო განთავსებული. სკოლას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. სკოლის სამივე სართულზე კეთილმოწყობილი იყო სველი წერტილები - პირველ სართულზე ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო მეორე და მესამე სართულებზე ორ-ორი (გოგონებისთვის და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე). სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლაში ასწავლიდა 29 პედაგოგი, რომელთა შორის, იყო 5 უსტატუსო, 14 უფროსი სტატუსის მქონე, 1 წამყვანი, 2 მაძიებელი და 7 მოწვეული პედაგოგი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. მისი თქმით, სკოლაში, ფუნქციონირებდა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. დაწესებულებას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მართვის მექანიზმები.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა დაწესებულების ძლიერ მხარეებზე და აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა ორიგინალური საათობრივი ბადე, სადაც გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და აქცენტი კეთდებოდა უცხო ენების შესწავლაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო, ასევე, მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერა, რისი არსებობაც დასტურდებოდა მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. ძლიერ მხარედ ექსპერტმა, ასევე, დაასახელა ფსიქოლოგის მომსახურება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსწავლეების სასწავლო პროცესში გარკვეული სირთულეების დაძლევაში ხელშეწყობა. ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა დოკუმენტაციის შედგენისა და წარმოების მაღალი კულტურა, მოწესრიგებული და მოსწავლეთა საჭიროებებზე გათვლილი ინფრასტრუქტურა. ლელა ჯაშმა დაადასტურა, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნებოდა თანამშრომლობასა და მხარდაჭერას.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლაში არსებულ გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ შენობაში არ იყო დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა. ნაცვლად ამისა, საკლასო ოთახების კედლებზე და დერეფნებში დამონტაჟებული ელექტრო ღუმელები უზრუნველყოფდნენ შენობის გათბობას. სკოლისთვის გამოწვევას წარმოადგენდა, ასევე, უსტატუსო პედაგოგების რაოდენობა და წამყვანი და მენტორი მასწავლებლების მოზიდვის პრობლემაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდა სკოლის მიერ წარმოდგენილი სემესტრული და წლიური შემაჯამებელი დავალებების ანალიზები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სემესტრის განმავლობაში მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და იკვლევდა მოსწავლეების პროგრესს, ასევე, იმას, თუ რა კომპონენტებში სჭირდებოდა მოსწავლეებს გაძლიერება.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს შენობის ფლობის საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2014 წელს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან დადებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, 10 წლის ვადით გადაეცა შენობა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ 10 წლის ვადა 2024 წელს სრულდებოდა, შესაბამისად, ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა

კითხვით, დაეზუსტებინათ, რა პერსპექტივას ხედავდა შენობის ფლობასთან დაკავშირებით სკოლა 2 წლის შემდგომ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განმარტა, რომ დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მოლაპარაკება შენობის შესყიდვასთან დაკავშირებით, იგი, ასევე, თანამშრომლობდა ქონების სააგენტოსთან და ეკონომიკის სამინისტროსთან. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ 2023 წლის ოქტობრის თვისთვის მათ შესყიდული ექნებოდათ შენობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარს (ს/კ: 208156261) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ოქროს აკვანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 18 და 19 ოქტომბერს. მისი თქმით, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ვარკეთილში და დაწესებულების შენობა იყო სკოლის საკუთრებაში. ექსპერტმა განაცხადა, რომ შენობა იყო ორსართულიანი, პირველ სართულზე მდებარეობდა ადმინისტრაციის კაბინეტი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საკლასო ოთახები, სასადილო და სველი წერტილები. სკოლის მეორე სართულზე მდებარეობდა დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საკლასო ოთახები და სველი წერტილი.

ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა დაადასტურა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა, საათობრივ ბადესთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საათობრივ ბადეში განსხვავებული საათები იყო მითითებული: პირველი უცხოური ენა - I კლასში 4 სთ, მე-II - XII კლასებში 5სთ. მეორე უცხოური ენა იწყებოდა მე-III კლასიდან მე-IX კლასის ჩათვლით და ეთმობოდა 2 სთ, მე-X-XII კლასებში 1სთ. ექსპერტის თქმით, საათობრივ ბადეს თან ახლავდა შემდეგი განმარტება: ,,Vდა VI კლასებში 1 საათი მოკლებული ჰქონდა ისტ, სახვით და გამოყენებითი ხელოვნებას, მუსიკასა და სპორტს და დამატებული ჰქონდა ინგლისურს. აღნიშნული საათი გამოყენებული იყო ფრანგულ-გერმანულზე, რომელიც შეთავაზებული იყო ფაკულტატური სახით.“ ექსპერტმა ასევე, განმარტა, რომ მე-VII კლასში 1 საათი მოკლებული ჰქონდა სახვით და გამოყენებით ხელოვნება, სპორტსა და მუსიკას, რომელიც დამატებული იყო ინგლისურ ენაზე. ასევე, მე-VIII და მე-IX კლასებში 1 საათი მოკლებული ჰქონდა სპორტს, მუსიკასა და საახვით გამოყენებით ხელოვნებას და დამატებული ჰქონდა ინგლისურს. მე-XI და მე-XII კლასებში 1 საათი ჰქონდა მოკლებული რუსულსა და სპორტს და დამატებული ჰქონდა ინგლისურ ენას. ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ არ იყო შეთანხმებული საათობრივი ბადე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შედეგად, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია საათობრივი ბადის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების შესახებ. მარინე ჯანაშვილმა დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა და საათობრივი ბადის შეთანხმების შესახებ გააგზავნა წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 19 საკლასო ოთახი. ჯამში სკოლა სკოლა ფლობდა 384 მერხს. ექსპერტის თქმით, სკოლის პირველ სართულზე მდებარეობდა 120 კვ.მ-ის ფართის მქონე სპორტული დარბაზი. დაწესებულებაში, ასევე, ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მარინა ჯანაშვილმა განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ჰყავდა ლაბორატორიის გამგე, რომელიც უზრუნველყოფდა მის გამართულ ფუნქციონირებას და პასუხისმგებელი იყო მის უსაფრთხოებაზე, ქონების დაცვასა და კონტროლზე. ექსპერტის თქმით, ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი, რის შესახებაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი დანადგარის დამონტაჟების შესახებ, რომელიც
უზრუნველყოფდა უსაფრთხოების წესების დაცვას.

ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის პირველ დღეს ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგად დაფიქსირდა, რომ ექიმის კაბინეტი მდებარეობდა შენობის მეორე სართულზე, ასევე, აღნიშნულ კაბინეტში ნაცვლად წყლის ონკანისა, იყო წყლის დისპენსერი, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ წყლის დასალევად. ექსპერტთა რჩევის საფუძველზე, 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სამედიცინო ოთახი გადატანილ იქნა შენობის პირველ სართულზე. მარინა ჯანაშვილმა დაადასტურა, რომ ოთახის

მახასიათებლები, აღჭურვილობა, წყლის ონკანი, ფანჯარა სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნული წესის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა ისაურა დაწესებულების უსართხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა წესთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აღნიშნული წესი დაწესებულებას დამტკიცებული ჰქონდა 2019 წლის 12 სექტემბერს. მისი თქმით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2020 წლის 4 თებერვალს წარმოდგენილ იქნა სკოლის წერილი, რომლის საფუძველზედაც, სკოლას დაუბრუნდა პასუხი 2020 წლის 22 აპრილს წერილის სახით, რომელშიც პუნქტობრივად იყო გაწერილი წესში შესატანი ცვლილებები. მარინა ჯანაშვილის თქმით, ხარისხის განვითარების მენეჯერთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ აღნიშნული წერილის საფუძველზე სკოლამ შეიტანა ცვლილებები, თუმცა აღარ ჩათვალა საჭიროდ შესათანხმებლად სამინისტროსთან გაგზავნა, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული წესის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების თაობაზე. მარინა ჯანაშვილმა დაადასტურა, რომ ვიზიტის პროცესში სკოლამ გადააგზავნა წერილი და კორექტირებული წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილი იყო ვიდეოთვალთვალის სისტემით. მისი თქმით, გარე პერიმეტრს აკონტროლებდა უსაფრთხოების 2 კამერა, ხოდა შოდა პერიმეტრს 12 კამერა. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დაწყებისას სკოლის მფლობელობაში იყო 9 ვიდეოკამერა. ექსპერტებმა ხილვადობის სრულყოფილი უზრუნველყოფის მიზნით, გასცეს რეკომენდაცია ვიდეოკამერების დამატების შესახებ. სკოლამ რეკომენდაცია გაითვალისწინა და შიდა კამერების რაოდენობა გაზარდა 5 ერთეულით.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთლიანი სამოქმედო გეგმები. აქვე, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო ორივე დოკუმენტის გაგება და მათ შორის შესაბამისობის დადგენა, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით გასცეს რეკომენდაცია, აღნიშნულ გეგმებში დაკონკრეტებულიყო სტრატეგიული მიზანი, ამოცანები და ქვეამოცანები.
მარინა ჯანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული იყო 33 პედაგოგი, მათგან მოწვეული სტატუსის მქონე იყო 3 მასწავლებელი, 2 იყო უსტატუსო, 24 უფროსი სტატუსის მქონე და 4 წამყვანი მასწავლებელი. ექსპერტით თქმით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის მუშაობის წესი. მან, აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო თანამშრმლობითი, კეთილგანწყობილი და მხარდაჭერითი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენად ზრუნავდა დაწესებულება მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაზე. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განმარტა, რომ იმართებოდა შეხვედრები საგნობრივ კათედრებთან, სადაც განიხილებოდა, თემატური მატრიცების, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედგენასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე, მან დაამატა, რომ საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით, სკოლა მუშაობდა გარე სპეციალისტების, მაგალითად, ახალი სკოლის მოდელის ქოუჩის მოწვევის თაობაზე.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რა მიდგომითა და სტრატეგიით ახორციელებდა დაწესებულება საკუთარ მისიაში გაცხადებული ერთ-ერთი მიზნის მოსწავლეების ,,ასწავლოს სწავლის“ ხელშეწყობას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განმარტა, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლა ნერგავდა პროექტულ სწავლებას, ასევე, იღებდა

საერთაშორისო პროექტში მონაწილეობას. სკოლის მხრიდან, აქტიურად მუშავდებოდა სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, სადამრიგებლო პროგრამები. ასევე, მისი თქმით, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება მასწავლებლების მხრიდან, ხელს უწყობდა მოსწავლეებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზის საფუძველზე, სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მოიაზრებოდა მოტივირებული და პროფესიონალი მასწავლებლების არსებობა, თუმცა, ამავე ანალიზის სუსტ მხარედ დასახელებული იყო აღნიშნული პედაგოგების გადინება. ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ხომ არ ჰქონდათ შემუშავებული რაიმე გეგმა ან სტრატეგია მასწავლებლების გადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებელთა გადინების მიზეზი მხოლოდ შეზღუდული ფინანსური რესურსებით იყო განპირობებული. მისი თქმით, ბევრი პედაგოგი ფინანსური მომგებიანობის თვალსაზირისით არჩევდა გადასულიყო საჯარო სკოლაში.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ხომ არ ჰქონდა სკოლას შემუშავებული მასწავლებელთა წახალისების შიდა მექანიზმები, რომელიც დადებითად გადაწყვეტდა მასწავლებელთა გადინების პრობლემას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა იყო დაბალ-ბიუჯეტიანი და ის ვერ შექმნიდა ფინანსური წახალისების მექანიზმებს, თუმცა, სკოლა პედაგოგთა წახალისების მიზნით, გასცემდა ფასიან საჩუქრებს, სიგელებსა და დიპლომებს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა, სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ეძლეოდათ თუ არა მასწავლებლებს ზაფხულისა და ზამთრის არდადეგების განმავლობაში ხელფასები. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის მასწავლებლები, რომლებიც 3 ან მეტი წლის განმავლობაში მუშაობდნენ სკოლაში ეძლეოდათ 12 თვიანი ხელფასი, ხოლო ისინი, ვინც სკოლაში დასაქმებული იყო 3 წლამდე, არ იღებდნენ ზაფხულის არდადეგების ხელფასს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 360 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ექსპერტიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოქროს აკვანის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 360 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ოქროს აკვანს (ს/კ: 206178027) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი,

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 360 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომაზე, 16:45 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:55 საათზე.

4. შპს ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე დაწესებულების მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. ექსპერტის თქმით, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას არ ჰყავდა მე-7, მე-9 და მე-10 კლასები. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული იყო პედსაბჭოს სხდომაზე სკოლის დირექტორთან შეთანხმებით. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, აღნიშნულით სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების დროს გაითვალისწინა ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები, რომელიც არ იყო დაცული, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ექსპერტის თქმით, სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებად გახანგრძლივებულ სწავლებას I-VI კლასებში, რომლის დროსაც ხორციელდებოდა მოსწავლეთა მხარდაჭერა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში. ასევე, ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა წრეები როგორიცაა, დებატ კლუბი მე-VI-XII კლასებში, ფრანგული თეატრი 1-12 კლასებში, ინტელექტუალთა კლუბი მე-5-12 კლასებში და მკვლევართა კლუბი მე-4-6 კლასებში. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლაში მე-2 კლასიდან იწყებოდა მეორე უცხოური ენის (ფრანგულის) სწავლება სავალდებულო სახით. ხოლო, ფრანგული თეატრის წრის ფარგლებში ყოველ წელს იმართებოდა თეატრები ფრანგულ ენაზე, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინკლუზიური განათლების ხედვებს, შემუშავებული იყო ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. დოკუმენტში აღწერილი იყო ინფორმაცია იმ მექანიზმების შესახებ, რომელიც ადგენდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭების და სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროებას. საავტორიზაციო ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. ექსპერტის თქმით, შპს ფრანგული სკოლის მასწავლებლები აქტიურად მუშაობდნენ მოსწავლეებთან

სხვადასხვა მეთოდით და მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებით როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე საკლუბო მუშაობის დროს, რაც მათ საშუალებას აძლევდა, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს თავისი ინტერესებისა და მონაცემების მიხედვით სწავლა და განვითარება.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ,,მშობელთან ურთიერთობის დებულება", სადაც გაწერილი იყო მშობლის და სკოლის უფლება მოვალეობები. დებულების თანახმად მშობელს ჰქონდა სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება. მასწავლებლებთან კომუნიკაცია შეიძლება განხორციელებულიყო ელ. ფოსტით და სატელეფონო კავშირით. ასევე, შემუშავებული იყო კითხვარები მშობლებისთვის. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნულ დებულებაში მშობლებთან კომუნიკაციის ერთ-ერთ მექანიზმად ჩაწერილიყო სკოლის ელექტრონული ჟურნალი, რომელსაც სკოლა აქტიურად იყენებდა.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რაც გულისხმობდა საგნის მასწავლებლების ყოველი სემესტრის ბოლოს ანგარიშის მომზადებას გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე, შემუშავებული იყო კითხვარები მოსწავლეთათვის და მშობლებისათვის, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ახალი სასწავლო წლისათვის პრიორიტეტების დანერგვა მას შემდეგ, რაც მოხდებოდა მათი განხილვა კათედრებზე და შემდგომ კათედრების მიერ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მისი გამოტანა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლის მფლობელობაში არსებულ ფართში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი, 1 ისტ-ის ლაბორატორია, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სპორტული დარბაზი და 1 მცირე დარბაზი ჩოგბურთის მაგიდით. საკლასო ოთახებში საერთო ჯამში განთავსებული იყო 73 ინდივიდუალური მერხი და სკამი (სულ სკოლას მფლობელობაში ჰქონდა 136 მერხი და სკამი). აქვე, ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ბიბლიოთეკაში დაცული იყო 4820 წიგნადი ერთეული. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილიც.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო სკოლის მისია, სკოლის ისტორია, ინფორმაცია დირექციის და პედაგოგიური საბჭოს შესახებ. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებ-გვერდის განახლება და ექსპერტთა რეკომენდაციით გადაწყდა, სასკოლო საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისთვის, სხვა ინფორმაციასთან ერთად ვებ-გვერდზე განთავსებულიყო ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, წესდება, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლას ჰქონდა facebook გვერდი, სადაც შექმნილი იყო ჯგუფები კლასების მიხედვით და რომელიც ასევე ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული იყო შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. ასევე, შემუშავებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობაში განთავსებული იყო წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (სულ 5) და გამოკრული იყო გასასვლელის მანიშნებლები. ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად იყო შემუშავებული და ვიზიტის პერიოდში შესათანხმებლად გადაგზავნილი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა უსაფრთხოების 9 კამერა, მათ შორის 3 უზრუნველყოფდა სკოლის გარე

პერიმეტრის კონტროლს, ხოლო 7 კამერა შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს ფრანგულ სკოლაში შემუშავებული იყო გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები წესდების და შინაგანაწესის სახით. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლას ჰქონდა ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან ორივე დოკუმენტთან მიმართებით სკოლას მიეცა რეკომენდაციები. კერძოდ, შეემუშავებინა ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ფორმა, რომელიც მოიცავდა გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნებოდა ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნებოდა დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით. ხოლო, სამოქმედო გეგმაში გაწერილიყო შესასრულებელი აქტივობები.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ჰყავდა 35 თანამშრომელი, მათგან 25 იყო მასწავლებელი. ექსპერტის თქმით, შპს ფრანგული სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მან დაამატა, რომ სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილი იყო შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები (დებულება), რომლის მიზანი იყო სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. აქვე, მან დაამატა, რომ მასწავლებლები ჩართული იყვნენ კარიერული წინსვლის სქემაში, რომლის ფარგლებშიც ესწრებოდნენ მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილ სტატუსის შესაბამის ტრენინგებს. მასწავლებლის სამოქმედო და კათედრების სამუშაო გეგმებში გაწერილი იყო პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტი იღებდა ვალდებულებას მასწავლებლებს დახმარებოდა პროფესიულ განვითარებაში.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ გაზი გაუსვა სკოლაში დასაქმებული ახალგაზრდა კადრების არსებობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა იყო სკოლის სამომავლო გეგმები, რაშიც ჩართული იქნებოდნენ სკოლის ახალგაზრდა კადრები. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სკოლა რამდენიმე მიმართულებით გეგმავდა აქტივობების განხორციელებას, როგორიც იყო საელჩოებთან თანამშრომლობა, სკოლას ჰყავდა ფრანგი მოხალისე, რომელიც გაკვეთილებს ატარებდა მოსწავლეებისთვის, რაც მათ ენის ბარიერის დაძლევაში ეხმარებოდა. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა ჭადრაკი წრე. აქვე, დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები სრულად იყო გათვალისწინებული და აღმოფხვრილი.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რადგან აღნიშნული დაწესებულების მისამართზე რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება ფიქსირდებოდა, თუ ჰქონდა სკოლას იზოლირებული ინდივიდუალური შესასვლელი და ხომ არ ჰქონდა სხვა დაწესებულებებთან კვეთა. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ მთლიანი შენობა ეკუთვნოდა უსინათლოთა კავშირს და შენობაში განთავსებული იყო რამდენიმე დაწესებულება. ხოლო, სკოლას ჰქონდა ინდივიდუალური შესასვლელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფრანგული სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ფრანგულ სკოლას (ს/კ: 245438281) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

5. ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის თქმით, დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 10 და 11 ოქტომბერს, ქ. ქობულეთში. მისი თქმით, სკოლის მფლობელობაში იყო 20 593 კვ. მ-ის ფართი, სადაც განთავსებული იყო სამი შენობა, რომელთაგან ორი გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისთვის, ხოლო მესამე შენობა წარმოადგენდა სამლოცველოს. ქეტევან ბოტკოველის განცხადებით სკოლაში განთავსებული იყო 24 საკლასო ოთახი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, სადაც დამონტაჟებული იყო სველი წერილი და გამწოვი, კანონმდებლობის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, 24 სველი წერტილი, ისტ-ის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა ღია სპორტული მოედანიც. ქეთევან ბოტკოველის

თქმით, სკოლას ჰქონდა 25 პერსონალური კომპიუტერი და 9 ლეპტოპი. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული იყო შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. ასევე, შემუშავებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობაში განთავსებული იყო წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (სულ 25) და გამოკრული იყო გასასვლელის მანიშნებლები. ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად იყო შემუშავებული და ვიზიტის პერიოდში შესათანხმებლად გადაგზავნილი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა უსაფრთხოების 32 კამერა, მათ შორის 10 უზრუნველყოფდა სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს, ხოლო 22 კამერა შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში შემუშავებული იყო გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები წესდების და შინაგანაწესის სახით. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლას ჰქონდა ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. მან აღნიშნა, რომ სტარტეგიულ გეგმაში დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა ხუთი ძირითადი მიზანი, რომლებიც ჩაშლილი იყო ამოცანებად, ინდიკატორებად და განსაზღვრული იყო პასუხისმგებელი პირები, თუმცა ყველა ამოცანისთვის განხორციელების პერიოდად განსაზღვრული იყო ექვსი წელი. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რჩევა, კერძოდ, კონკრეტული ამოცანები გაწერილიყო კონკრეტული წლების მიხედვით. ასევე, ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა გათბობის სისტემის ქვაბის შენობას, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობდა, ჰქონოდა კარი, რაც დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ჰყავდა 67 თანამშრომელი, მათგან 43 იყო მასწავლებელი. ექსპერტის თქმით, სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მან დაამატა, რომ სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილი იყო შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები (დებულება), რომლის მიზანი იყო სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შეესაბამებოდა ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის მისიას, ღირებულებებსა და ძირითად მიზნებს. წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას: ორგანიზება/დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლა. ექსპერტის თქმით, დოკუმენტს დანართის სახით ახლავდა კითხვარების ფორმები: გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი, სკოლის პერსონალის გამოკითხვა სოციალიზაციის შესახებ და სხვა. ექსპერტის განმარტებით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უზრუნველყოფდა

ცენტრის პერსონალისა და მასწავლებლების ინფორმირებას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რაც დასტურდებოდა მათთან გასაუბრებით და წარმოდგენილი სერტიფიკატებით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა დაწესებულების პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული იყო პედსაბჭოს სხდომაზე, რომელიც შემუშავებული იყო დაწესებულების დირექტორის მონაწილეობით. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავდა ცენტრის მისიას, სწავლა-სწავლების მიზნებს და საგანმანათლებლო პრინციპებს, ცენტრის საერთო კულტურას, სასწავლო წლის კალენდარს, დღის რეჟიმს, საგნობრივ კათედრებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, საათობრივ ბადეს და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს, შინ სწავლების წესებსა და პირობებს, სადამრიგებლო პროგრამას, ესგ-ით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალს და აღწერილობას, ინკლუზიურ განათლებას, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას, წლიურ პროგრამებს/სასკოლო კურიკულუმებს. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, საათობრივ ბადეში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო (ჭადრაკის გარდა) და არჩევითი საგნები. ასევე, გათვალისწინებული იყო პროექტული სწავლების საათობრივი დატვირთვა 1 საათი სამოქალაქო განათლებაში და 1 საათი მუსიკაში. ექსპერტის თქმით, სკოლა ჭადრაკის სწავლებას მომავალი წლიდან განახორციელებდა, შესაბამისი კადრის მომზადების შემდეგ. სკოლაში მეორე უცხო ენის შესწავლა მე-5 კლასიდან იწყება. ექსპერტის განცხადებით, სასკოლო საზოგადოებამ არჩევანი რუსულ ენაზე შეაჩერა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დაწყება-დასრულების ვადები თანხვედრაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ 14 სექტემბერი, როგორც საეკლესიო ახალი წლის დასაწყისი დაწესებულებას „შეხვედრის დღედ“ ჰქონდა განსაზღვრული. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება შრომის კოდექსის მიხედვით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა, აგრეთვე ისვენებდა საეკლესიო დღესასწაულებზეც, რასაც ანაზღაურებდა შაბათს სწავლის ხარჯზე, სულ 7 იყო განსაზღვრული სასწავლო დღედ. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლა გაზაფხულის არდადეგების ნაცვლად ისვენებდა ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულებზე.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა შემდეგ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას: გახანგრძლივებული რეჟიმი (ფასიანი) -აღნიშნული სააღმზრდელო პროგრამა საშუალებას აძლევდა მოსწავლეს დაასრულოს და შეავსოს სწავლების მრავალმხრივი, ამოუწურავი საკითხები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული სასწავლო პროგრამით და ეროვნული სასწავლო გეგმით, ქართული სიმღერებისა და საგალობლების ფოლკლორული გუნდი (უფასო I-XII კლასი), ხელსაქმე (უფასო V-XII კლასი) და ლიტერატურული სალონი (უფასო მე-V-VIII კლასი).
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო რვა საგნობრივი კათედრა. აქვე, მან დაამატა, რომ პედაგოგებს გააზრებული ჰქონდათ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და მოთხოვნები. საგნობრივი კურიკულუმები განსაზღვრავდა წლის მანძილზე შესასწავლ თემებს, თემის ფარგლებში განსახილველ საკითხებს და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს შესაბამისი თემატური მატრიცებით. თემატური მატრიცით წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები თანხვედრაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან. ქეთევან ბოტკოველის თქმით, კურიკულუმებიდან ჩანდა, რომ დაგეგმილი იყო სემესტრში მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება. აქვე, სკოლა სარგებლობდა სამინისტროს მიერ შემუშავებული გზამკვლევებით და შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.

ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი და სკოლაში ფუნქციონირებდა ხარისხის მართვის ჯგუფი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ დაამატა, რომ სკოლაში ახალგზარდა კადრების არსებობა განაპირობებდა დაწესებულების წარმატებას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა პრინციპით ხდებოდა სკოლაში მეორე უცხო ენის არჩევა. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლის მხრიდან მე-5 კლასში ხდებოდა რამდენიმე უცხო ენის შეთავაზება, ხოლო მშობელთა მიერ არჩევანი გაკეთდა რუსულ ენაზე. სკოლის წარმომადგენელმა, დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მოსწავლეებთან საუბარი ხდებოდა მე-4 კლასის ბოლოს, ხოლო საბოლოო არჩევანს აფიქსირებდნენ მშობლები სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. არჩევანის გაკეთება კი მშობლებს უწევდათ რამდენიმე ენას შორის. სკოლის წარმომადგენლის თქმით, იმ შემთხვევაში თუ იქნებოდა რამდენიმე მშობლის არჩევანი რუსულის გარდა სხვა უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით, სკოლა მზად იყო რუსულთან ერთად შეეთავაზებინა მოსწავლეებისთვის სხვა ენებიც.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაწესებულების სახელთან დაკავშირებით, თუ რატომ ერქვა დაწესებულებას საგანმანათლებლო ცენტრი და არა სკოლა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების წესდების მიხედვით, რომელიც 2009 წელს იქნა შემუშავებული, ის აერთიანებდა სამ დაწესებულებას - სკოლას, საბავშვო ბაღსა და ბანაკს. მისი თქმით, დროთა განმავლობაში მათ ჩამოშორდათ საბავშვო ბაღი და ბანაკმაც შეწყვიტა ფუნქციონირება, ხოლო მიმდინარე წელს ისევ შეძლეს ბანაკის აღდგენა. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რადგან სკოლის გარშემო გაერთიანებული იყო სამი დაწესებულება, მას ეწოდება ცენტრი და არა სკოლა. აქვე, დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სამომავლოდ გეგმავდნენ სახელის ცვლილებას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურ ცენტრს (ს/კ: 247009801) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა